სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

18.07.2017 № 142

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ", სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №374 ბრძანების, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 ივლისის №2489 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე (www.Student.eqe.ge) რეგისტრაციის შემდეგ (2017 წლის 25 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017 წლის 23 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2017 წლის 8 სექტემბრისა;
5. 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ განათლების

ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2017 წლის 11 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ა. ფრანგიშვილი

რექტორი:
ვიზები:

ვიცე - რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურამე

მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (მაგისტრანტმა და დოქტორანტმა წინა საფეხურის დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე-რექტორი _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:		
სახელი და გვარი:		
სტუდენტის პირადი ნომერი:		
განათლების საფეხური:	❑პროფესიული უმაღლესი ❑ მაგისტრატურა	❑ბაკალავრიატი ❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედი-ტი	აკადემი ური საათი			ECTS კრედი-ტი	აკადემიუ რი საათი
სულ:						

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა	❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული
შენიშვნა	

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:	ი. ლომიძე	ხელმოწერა
ფაკულტეტის დეკანის:		ხელმოწერა
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:		ხელმოწერა
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:		ხელმოწერა